№ 13

29 მარტი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРIА“ К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

## ამერიკული ვაზის სანერგე

„კლო-ყგურული“ ქუთაისში.

**მთელ რუსეთში განთქმული მრავალი სხვადასხვა ჯიშის ვაზები**

1200 ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საჭმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

**პრეის-კურანტი და ახსნა-დარიგება ეგზავნება მსურველს უფასოთ.** (3—3).

## ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

## კოლხიდა

დაიწყეს წადება სხვა და სხვა **დამყნილ ვაზისა**

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. **გ. მ. ჩივაძისაგან.**

0—1

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლის თანამდ. აღმასრ.

ამით აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის მორიგი კრება მოხდება 24 ამა მაისს ქ. ტფილისში.

კახელ მეღვინეთა ამხანაგობა

## სამრო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დ კლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის [illegible] აში**

ტელეფონის № 720.

0—1

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმ.

სახელმწიფო სააdგილ-მამულო ბანკის ადგილობრივ განყოფილებისაგან მიღებულ ცნობის თანახმად,ატყობინებს იმათ, ვისაც ხსენებულ ბანკში მამულები აქვთ დაგირავებული, რომ გაზაფხულის ტორგებზე მსესხებლებს არავითარი შეღავათი არ ექნება და ამიტომ ყველამ ნედოიმ. თავის დროზე და სრულად უნდა გადაიხადონ.

წარმოდგენა 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 7.

**ოთხშაბათს, 1 აპრილს 1909 წ.**

ბენეფისი

**პ. ს. მესხისა**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

✦ ცნობილი კომედია ვ. შექსპირისა ✦

## ჭირვეული ცოლის მორჯულება

5 მოქმედებათ

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. **დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „ქორწინების წინ“, „მეჯლისი“, „იტალიანებით მოტყუილებული ქმარი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „ტიკინი“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ✦ რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნ ურობის თეატრის ეზოში

(Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

ხაჭაპური

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც




## გრამოფონის სააქციო საზოგადოება

ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი № 9.

პატივცემულ მყიდველებს და იმათ, ვინც გაცნობილი არ არის მე-XX საუკუნეში გამოგონილ გრამაფონებს ვატყობინებთ რომ ყოველ ოჯახის სიხარულის და კმაყოფილების ნამდვილი წყაროა

## გრამოფონი



საზოგადოების ნამდვილ პლასტინკებით, რომელთაც ზედ აზის საფაბრიკო ნიშანი **„მწერავი ანგელოზი“** ან **„ზონოფონი“** ამ უქმეებისთვის საუკეთესო საჩუქარია

**გრამოფონი**

გრამოფონების ფასია 30—100 მანეთამდის და უფრო მეტიც, პლასტინკები 75 კაპ.—3 მან. და მეტიც.

მყიდველებს ვურჩევთ შეიძინონ პლასტინკები შერჩეული ოპერებიდამ და ოპერეტკებიდამ, აგრეთ საცეკვაო მუსიკის პლასტინკები. ამნაირად ყველას საშვალება ეძლევა მოისმინოს ოპერა და ოპერეტკა შინ, თავის ოთახში, ან მოაწყოს შინვე საცეკვაო საღამო

**მოგვყავს შემდეგი სია:**

| ოპერეტკები: | ოპერები: | საცეკვაო: |
| --- | --- | --- |
| ღამურა | ფაუსტი | შაკონ |
| მხიარული ქვრივი | რუსულან და ლიუდმილა | კიტაიანკა |
| დოლარების პრინცესსა | პიკოვაია დამა | ლეკური |
| | ევგენი ონეგინ | ზეც და სხვ. |

**აგრეთვე სხვა და სხვა ქართული, იმერული და გურული სიმღერები**

ვთხოვთ ყველას ყურადღება მიაქციონ საფაბრიკო ნიშნებს და სიყალბეს და მოტყუილებას ერიდონ.

პრეისკურანტები, კატალოგები, სიები და ყველა ნაბეჭდი წიგნები მსურველთ მუქთად დაურიგდებათ და ეგზავნებათ.

ყოველი სიმღერა პლასტინკით მსურველისათვის საზოგადოების მაღაზიაში უფასოდ დაიკვრება. მაღაზიასთან სახელოსნოა, შეკეთება მეტად იაფად სრულდება.

4—4

კახეთის ნამდვილი

ღვინო



ტფილისი, ტელეფონი № 31

„ძმობა“

0—1

### სააღდგომო

შორით გილოცავთ მეგობრებო დღესასწაულსა,
გულით გილოცავთ გმირობასა ქრისტესებურსა.
მასთან გისურვებთ-თქვენცა სძლიოთ მტრობას და შურსა,
მარად უვნებლად წინ უძღოდეთ მოძმეს ტანჯულსა.

თუმც არ მეშინის, მტრობა—შურმა რომ დასცეს გმირი,
ან ჩააჩუმოს მძლავრთა მხმობი მისი საყვირი,
მაგრამ ეს არის უსიამო, და საზარელი,
მცირე ხნით ბრძოლის რომ იქნება შემფერხებელი.

რა არის ძმებო მტრობა-შური თავისის სახით?
საზიზღი მეტად დამახინჯი იგი ყოველმხრით:
ბოროტი, გულ-ღრძო, ჩუმად მკბენი ბარიდამ მალვით,
მაგრამ ბეჩავი, და უძლური იგი ძალღონით.

და ამისათვის არ მეშინის მის მახვილისა,
რომ ის უძლური ვერ იქნება მძლევი გმირისა;
მას მცირე ბრძოლა თვითონ დასცემს გაანადგურებს,
მამაცსა გმირს კი გაამხნევებს, გაალომგულებს.

იუდა მხდალი, თვით იკეთებს სახრჩობელასა,
ქრისტე კი ელის აღდგომასა, ამაღლებასა.
მტრობა და შურიც თვით გაითხრის თავის სამარეს,
ჩვენი გმირი კი აამაღლებს ყოველსა მხარეს.

**დაუცხრომელი.**

### აღდგომა

დაჰბერა სიომ, ღელავს ჯეჯილი,
ნაზობს მცენარე, მდელო ბიბინებს
და ვარდის ეშხით მთვრალი ბულბული
გულის წარმტაცად უსტვენს, ღიღინებს.

***

შორს, უტყე ტყეში მოსჩხუის წყარო,
ცაში ტოროლა მარდად ფთხრიალებს;
დილისა ნამი, ჟუჟუნა ცვარი,
კვლავ ეპკურება უხვად ყვავილებს.

***

კორდისა პირას საბრალო მწყემსი,
ცხვარს შეფენილსა უმზერს, აძოვებს
და სალამურს, თვის მესაიდუმლეს
მხიბლავის ჰანგით ჩაჰკვნეს ამ სიტყვებს:

***

„უკვე გათენდა... მზე სხივებს აფრქვევს
„სინათლემ სძლია წყვდიადი-ბნელი,
„და მკვდრეთით აღზდგა მრავალ-ტანჯული
„დღეს მაცხოვარი—ნაზარეველი.

***

„ხოლო იუდა ის გამცემელი
„შეშინებული ეძიებს საფარს,
„რომ დაემალოს ქვეყნისა რისხვას
„და გოლგოთაზე ჯვარ-ცმულ მაცხოვარს.

**ი. გრიშაშვილი.**

### გამოძახილი!..

(სააღდგომოდ)

რა სასურველია, ერთი მითხარით, ბუნების ლხენა ტანჯულ სულისთვის?! ნეტავ ვის მოსწონს ნაზი, სუსტი ვით ია, მისი სიყვარული?! რა მოსაწონია ყოველივე ნაზი და სუსტი?! ადამიანთ კი, სულელთ, ჰკუას უბნევს დღევანდელი დღე. ყველგან ღიმილი, ყველგან სიტკბო და სიყვარული, აი ხვედრი ადამიანთ აღდგომის დღესა.

ზარის ულონო წკარუნი რაღაც მომჯადოვებელ ძალით ენასკვება სიცილს, სიამეს, მაგრამ იმავ დროს, საძაგელი და ორპირი, უბედოთა მკვნესარ ხმებს თავს ევლება, ელერსება. სიცილი და კვნესა ერთმანეთს ჩაჰხვევიან და გაშმაგებით ამბორს უყოფენ ურთიერთის მარჯნის ტუჩებს. მეზიზღება, მძულს ეგ ამბორი, რადგან იუდისაა! ეგ სიცილი, ეგ კვნესა სიყვარულის პირმშო შვილია და მაგათ ამბორს საძირკვლად უდევს ყალბივე სიყვარული, სუსტი და ნაზი, მათრობელა, როგორც კახური! მეჯავრება ეგ სიყვარული! მე არსად ვიცი ნამდვილი სიყვარული, რადგან არ არის. დიაღ, არ არის სიყვარული!

მორთულ-მოკაზმულ ხალხს სასოება თავს დასტრიალებს, მალამოდ ეცხება მათ გულის წყლულებს, ყველა მხიარულობს: დიდი, პატარა. ზარის ხმები კი სცდილობენ ურთიერთს ჩააქსოვონ სიცილი და კვნესა. ოჰ, ფეიქრობენ ზარის ხმები! ჰქსოვენ, ჰქსოვენ და ჰქსოვენ ზარის ხმები! ხალხიც იცინის, თავს იტყუებს, ვითომ ბედნიერი იყოს, სიყვარულთან ახლოს მჯდარ იყოს. თვრება სიყვარულით, ბურანში მიდის. მაგრამ ზარის ხმები გამოარკვევენ.

ბნელი იფანტება და სასაფლაოზედ აღმართული ძეგლები თვალწ წინ უდგება სიყვარულით დამთვრალ ხალხს. იქ დასადგურებული სიკვდილი მუქარას უთვლის ხალხის მღელვარე ტალღებს.

მკვდრეთით დგება მძულვარება... წამოიჭიმა სახრჩობელა, გულ-ზვიადი და ძლიერი. ჩამოდექით, ჩამოდექით გზა მიეცით ქვეყნის მეუფეს, გზა მიეცით მკვდრეთით აღდგომილ მძულვარებას!

ხალხი ყურადღებას არ აქცევს მძულვარებას, ხალხს არ ესმის ჯვარზედ გაკრულ ავაზაკის საზარი სიტყვები:

**— შენ თუ ქრისტე ხარ, იხსენ თავი შენი და ჩვენც;** თავს აძლევს ბურანს, გამოურკვეველ მდგომარეობას, ბედნიერ ხანას თავისს სიცოცხლისას! სიყვარულიც, მეტის პატივით გალაღებული, გულში იკრავს ხალხს! ჰკოცნის, ჰკოცნის თავდავიწყებით გულში ჩაკრულ, ჩათვლემილ ხალხს!

**მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოვიდე სასუფეველსა შენსა!**—გალობს ძილისპირს სიყვარული.

ყველგან სიამე, სიხარული, შვება და ლხენა!

აქ, აქ ჩემ გულში კი საშინლად ბნელა, შავი ზეწარი ჰფარავს მიდამოს, ყურს არ ვათხოვებ სიყვარულის უნიადაგო ლხენას, ან კიდევ ხალხის ნებივრობას მის ლამაზ მკერდზედ მე სიკვდილს ვუცქერ, აქ ამ ჩემ გულში დაფათურებს; ვხედავ მძულვარებასაც, თავს დასტრიალებს, შიშის ზარსა სცემს ნორჩ სიყვარულსა!

ყველა მხიარულობს და მე იმედ-მკვდარი სიამოვნებით მოხითხითე მძულვარებას კითხვას ვუბედავ: ქრისტე ჯერ კიდევ ჯვარზედ რად არის?!

**ვ. თამროშვილი.**

---

## დ ა ვ ა

### ებრაული გადმოცემა

ტურფა იყო გომიელი,
ის ასული დიდი რაბბის,
შემამკობი უეჭველი
იმ პატარა ერთი დაბის,
სადაც იგი დაიბადა,
გადიკითხა წიგნი ბევრი
და სადავოდ იყო მზადა
მახვილი და ენა მჭევრი.
მას ვეზირი ერთი უცხო,
ვიღაც დიდი მწიგნობარი,
შეხვდა ერთხელ და დაუწყო
ამნაირი საუბარი:
—უთხრა: „ტურფავ, წინდაწინა
მე მაკვირვებს თქვენი ღმერთი,
მან ადამი დააძინა
და მოჰპარა ერთი გვერდი“.

—

არ შეუკრთა გომიელი,
არც დანებდა დასაჭერად,
და გადაკრა კითხვა ძნელი
ლამაზად და შესაფერად.
—დიაღ! ტურფამ დაიძახა:
ღმერთმა ასე შეჰქმნა ევა,
ვინაიდგან განიძრახა
აგრე ლხენის ჩამოფრქვევა.
თუ რამ იმან მოიპარა,
რა წაიღო? რაღაც ძვალი!
მაგივრად კი გაახარა
უსინათლო მომავალი.
შეჰქმნა ქალი—ნეტარება,
სიცოცხლე და სიყვარული,
ქვეყანასა მისცა შვება,
გადააბა გულთან გული.
მოანათა მით ნათელი
მარტოობის უდაბნოსა
და უეცრად მთა და ველი
ოქროს შუქით შეიმოსა;
აჭიკჭიკდა ბაღი, ჭალა,
გაიფურჩქვნა ბუჩქი, ვარდი,
ცა ლაჟვარდად გაიშალა,
აზრმა იწყო იქ ნავარდი;
და რომ ევამ პირველ კაბა
ლეღვის ფოთლის შეიკერა,
დედამიწა გაინაბა
და გაისმა გულთა ჰგერა.
უნდა სცნოთ, რომ დასაწყისი
ნეტარების არის ქალი,
ამას ითხოვს სინიდისი
გონება და სამართალი.
ამ საქმისა შემომქმედი
თქვენ გგონიათ ქურდი განა?!
ცრუ არის და დაუხედი
შედარება ამისთანა“.

—

ტურფა იყო გომიელი,
ტურფად სიტყვა გაათავა;
მაგრამ მაინც უცხოელი
არ იშლიდა—იწყო დავა:
—„კარგი, აგრე იყოს, მარა
ნეტა ღმერთმა რად ინება,
თუ არა-რა მოიპარა,
ადამისა დაძინება?
არ შეეძლო იმას განა:
შეეწყვიტა მისი რული
და მის თვალწინ მიეყვანა
სისრულეში საწაული?!“

—

პასუხის წილ ადგა ჩუმი,
დიდი რაბბის ტურფა ქალი,
მოიტანა ხორცი უმი
წამოანთო ნაკვერჩხალი;
როცა მაზე ის ნაჭერი
შეიწვა და აშუშხუნდა,
ვეზირს ქალი მშვენიერი
ღიმილითა მიუბრუნდა—
„მიირთვითო!“—ვეზირმა კი
მიიბრუნა იქით პირი:
„რა მაჭმევსო, რა ეშმაკი,
მეზიზღება, როგორც ჭირი!“
—„რადა? თითქო გაკვირვებით
შეეკითხა გომიელი,
მიირთვითო, გეხვეწებით,
ლუკმა არის სასურველი“.
—„ჩემო ტურფავ, გამიგონე,
კვლავ ვეზირმა მოახსენა:
დამერწმუნეთ, არ მაქვს ღონე,
არც სურვილი იმოდენა;
უმი ხორცი თვითონ ვნახე,
მომზადებაც ვნახე მისი,
და არ შემრჩა ერთი—ცახე
არც მადა და არც ხალისი“.
მაშინ შედგა გომიელი,
დიდი რაბბის ტურფა ქალი;
ეშხიანი, სანატრელი
ძირს დაუშვა მორცხვად თვალი,
და სთქვა: „ეხლა თქვენ მიხვდებით
აუხსნელად, უსიტყვოდა,
ადამს მისი გაღვიძებით
თუ რა გრძნობა შერჩებოდა,
რა ხალისი, ანდა რაღა
მადიანი მისწრაფება
ევა უმი რომ ენახა,
ან იმისი მომზადება?!“

**გ. გვაზავა.**

---



## გაკვრით გამოკვრით

### (თავად-აზნაურობის აღდგომა)

ბელინსკის ქუჩა. თფილისის თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზი. საღ. 8 საათი. ხარების საღამო. პავლე, საკრებულოს მსახური, დარბაზში სკამებს აწყობს და ლაპარაკობს.

**პავლე.** დასწყევლოს ღმერთმა, რით არ მოსწყინდათ ეს ზასედანიები. დღეს მესამე ზასედანია მოვიშორე, ახლა მეოთხე იწყება. დასწყევლოს ღმერთმა, საქმეს არაფერს ვაკეთებ და მთელი დღე კი მე და ჩემი ამხანაგები აქ უნდა ვეყაროთ. მოგებაც არაფერი გვაქვს. ისევ დავით ზახარიჩის დრო სჯობდა, მთელი დღე სულ ბულკებს და კამფეთებს ვჭამდით, ახლა ბუბლიკის ნატეხი თუ დაგვრჩა როდისმე, ისიც კარგია. ნეტავ ვიცოდე, რათ ეხალისებათ ამ თავადებს ამდენი ყბედობა. მიხეილ ვახტანგიჩი დაიწყებს ლაპარაკს, აღარ გაჩერდება, გურამიშვილი წამოხტება გაცეცხლდება და არ ვიცი, რაზედ იცხელებს თავს. ყარანგოზიშვილი სულ კუნტრუშებს. კოლა აბაშიძე თუ ხტუნაობს, ეს კიდევ მესმის, რისი კუჭის ტკივილი აქვს, მაგრამ ვერ გამიგია იაკობ პეტროვიჩს რაღა უნდა, რომ დაიწყებს ლაპარაკს და სამ დღეს არ გაათავებს. ერთი მითხარით, რისთვის ეძახიან ვანო ჯაბადარს ადვოკატ'ა, ლაპარაკობს, სწერს, კითხულობს და თავისი ვერა გაუტარებიარა. მე და ჩემმა ღმერთმა ყოჩაღად იქცევიან ჩვენი მარშლები, ერთმა სისულელეც რომ სთქვას, სხვები ერთხმად კვერს დაჰკრავენ და გვერდში ამოუდგებიან. ბიჭობაც ამაშია და! ეს არის რომ ამ უკანასკნელ კრებებზე მარშლებს ძალიან სიტყვებს უბრუნებენ, ჩვენი კნიაზიც კარგათ უჯავრდება... ეჰ, ჩვენი ილიკო—მარშალი რომ ყოფილიყო, აი ის შეუყვირებდა,—სიტყვის შებრუნებას ვინ გაუბედავდა!.. არ ვიცი, შათირიშვილი რატომ არ მოდის ზასედანიაზე, კარგი რეჟისორია, აქაც გამოდგებოდა, სულ ქამანჩა და სტვირივით აათამაშებდა ჩვენს კნიაზებს... ეჰ, რა მეთქმის (სკამებს აწყობს).

შემოდიან იაკობ პეტროვიჩ ისარლოვი და თუთხმეტიოდე თავად-აზნაური. იაკობ პეტროვიჩი ნელის ნაბიჯით პირველ რიგისკენ მიდის და დინჯად სკამებზე ეშვება...

**ი. პ. ისარლოვი.** ახ, დრონი, დრონი, ნაქებნი მარად..

წარვიდნენ, განქრნენ...

უნდა გიამბოთ, ყმაწვილებო, ჩვენი დობლესტნი, გრუზინსკი დვარიანსტვოს ისტორია. იმასაც მოვესწარ, რაც ვიყავით, რაც ახლა ვართ, ხომ ვხედავ და რაც ვიქნებით, იმასაც ახლავე ვგრძნობ... ადრე ჩვენ არაფერი არ გვქონდა, გვქონდა მხოლოდ დევიატი ტომი, სამ წელიწადში ერთხელ შევიყრებოდით ხოლმე, რომ ამოგვერჩია მარშლები და დეპუტატები. დეპუტატსკი საბრანიეში გვყავდა უცვლელად ბებერი სეკრეტარი ასლამაზოვი, ეს ასლამაზოვი ოცდა ოთხი საათი ერთ გაფხრეწილ სკამზე იჯდა და ბოლოს მას ამიტომ კრუხის სახელი დაერქვა. ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული თვეში ხუთი თუმანი და ამ ხუთ თუმანსაც ოთხ წელიწადში ერხელ ვაძლევდით. ღმერთმა აცხონოს განსვენებული დიმიტრი ყიფიანი, მან დააარსა ჩვენი ბანკი, ამითი ცოტა სული მოვიდგით. ეს არის დიმიტრი ყიფიანმა დაიწყო ჩვენი წარმატება, შემდეგ ღმერთმა აცხონოს კნიაზ მუხრანსკი, ესეც განსვენებული... ხომ ამბობთ იმას არა გაუკეთებიარაო... არა იმან დიდი საქმე გააკეთა იმან ის მოახერხა, რომ არწრუნისეული ქარვასლა ბანკს ხელიდან გამოაცალა და ჩვენ გვაჩუქა. ამ ქარვასლით ჩვენ დღემდის ვფარფაშობდით. ახლა კი ამ შენობას ჩვენ ოთხასი ათასი მანეთი ვალი დავატეხეთ და ამ ვალში კი არა ყრია რა; შემოსავალი კი შევამცირეთ. ესეც მეორე კაცი... მაგრამ დიდათ და დიდი საქმე გააკეთა ჩვენთვის მესამე პირმა დავით ზახარიჩმა მელიქიშვილმა. აი იმან რა მოახერხა. იგი შეუჩნდა მთავრმართებელ გოლიცინსა, დღე და ღამ სადილვახშმათ მასთან იყო და ამით ის გააკეთა, რომ გალიცინის შუამდგომლობით ჩვენ ბანკს ყოვ ლწლიური წმინდა შემოსავალი ჩამოაცალეს და ჩვენ თავადაზნაურობას გადმოგვცეს. აი ამ სამმა კაცმა გაგვიკეთა რამე, დანარჩენებს გროში კაპიკის არა გაუკეთებიარა. მე ძალიან მიყვარს პავლუშაც, ბაგრატიონიც და კოლაც მაგრამ ისინი მარტო იმას ფიქრობენ, ფული ვის მისცენ, რომ უკან აღარ მივიღოთ. ამით ისეთ ყოფაში ჩავვარდებით, როგორშიაც ბანკის დაარსებამდის ვიყავით.

**პ. ი. თუმანიშვილი** (გამოდის). ბ.ბ. უკაცრავად, კრების გახსნა დავაგვიანე. ახლა ვხსნი საგანგებო კრებას. იმ დღეს გადავწყვიტეთ, რომ 600,000 მანეთში ჩავაგიროთ მთელი ჩვენი ქონება, ამ ჩაგირავებას რასაკვირველია ვადა უნდა, ამდენი ფულის შოვნას ორი თვეხომ დასჭირდება. მაგრამ ამ ორ თვეში ცხოვრება გვინდა თუ არა. თქვენი გადაწყვეტილების ასასრულებლად ჩვენ ვალდებული ვართ თეატრში ჩავხარჯოთ კიდევ 99,999 მან. ფოდრიადჩიკები და ხელოსნები კარებზე დგანან და სააღდგომოდ ამ ფულს ელიან. ხომ მოგეხსენებათ, ზოგს ბატკანი უნდა, ზოგს ვიტჩინა, წითელი კვერცხები, ხიზილალა, ზაკუსკები... სულ ეს ფული ღირს თუ არა!.. ამიტომ დღეს თუ გადასწყვეტავთ და გვიბრძანებთ, კიდევ 160,000 მანეთს ვისესხებთ. ამ ფულით ხარჯებს მოვიშორებთ და მანამ იმ 600,000 მანეთს მივიღებთ.

**ლნ. გაბაშვილი.** როგორ შეიძლება ამდენი ფულის სესხება. ნუ თუ იმდენი არ გესმით, რომ ერთი თვით ფულის სასესხებლად 6 ან 7 ათას მანეთამდის ხარჯი მოგივათ. იქნება მაგდენი არ მოგვინდეს, იპოვეთ რამე სხვა სახსარი, მე გირჩევთ ბანკში შესატან 27,000 მანეთს ჯერ-ჯერობით ნუ შეიტანს. აი ისი პატარა ნაწილი შეიტანეთ, ფოდრიადჩიკებს ნაწილი მიეცით, მოგვიცდიან.

**ა. გ. ჯაბადარი.** საზამთრო თეატრში ჩვენ მეტი ფული დავხარჯეთ 67,000 ახლაც თქვენის ბრძანების შესასრულებლად უნდა დავხარჯოთ 39,500 მანეთი. ასე რომ გვინდება 110,000 მანეთი. ეს ფული უთუოდ გვინდა, ჩვენ ამ ხარჯებში ჩავყარეთ შკოლის ფული, შკოლას ჩვენ უნდა დავუბრუნოთ თვეში არა ნაკლებ 6,000 მანეთისა, თორემ შკოლა დაგვეხურება. შესაძლებელია ჯერ-ჯერობით ამ ვალის ნახევარი გავისტუმროთ, დაგვაცდიან, არა უშავსრა.

**ვანო აბხაზი.** გაბაშვილმა ხომ გიპოვათ 27,000 მანეთი მეც კიდევ გიშოვნით, ზაკლადნოი ლისტები ხომ გაქვთ—დააგირავეთ.

**ი. ს. ჯაბადარი.** კომერჩესკი ბანკშიც გაქვთ ბილეთები, ესეც ფულია...

**მ. ვ. მაჩაბელი.** შეიძლება ჩვენმა ბანკმა მოგვცეს წინდაწინ წმინდა მოგებიდან ოცი ათასი მანეთი, ესეც ფულია...

**დ. ა. გურამიშვილი.** ეჰ, რა საკადრისია ოცი ათასი მანეთის გამორთმევა, რაკი გამოვართმევთ, ბარემ მეტი ავიღოთ, ეგება ასი ათასი გამოვიტანოთ... მოგვცემენ, ნუ გეშინიათ.

**კნიაზების ხმები.** ავიღოთ, ავიღოთ...

**ვ. დ. ვაჩნაძე** (წამოხტება). ასე არ შეიძლება, როგორ თუ ბანკში ფული არ შეიტანოთ... თქვენ გავიწყდებათ, რომ სახლის გამგე მე ვარ, ვინ რას იტყვის, იტყვიან სახლის გამგემ ფული არ შეიტანაო, მე ამას არ ვიზამ, მე ჩემ თავს ნებას არ მივცემ ასეთი მავნებელი გადაწყვეტილება შევასრულო.

**გ. რ. ამირეჯიბი.** როგორ თუ არ შეასრულებთ?! ჩვენა ვართ ამ საქმის პატრონი თუ თქვენ? თქვენ გავიწყდებათ რომ ყოველი გამგე მხოლოდ პატრონის ბრძანების აღმასრულებელია, და პატრონს შეუძლია იგი ყოველთვის კისრის ტეხით გააგდოს. ჩვენ პატრონი ვართ და თუ გიბრძანებთ ფული არ შეიტანოთ, თქვენ უნდა აასრულოთ ჩვენი ბრძანება.

**ვ. დ. ვაჩნაძე.** კარგი ხეირიც დაგვეყრებათ ასეთ ბრძანებით. მე ფულებს ვაკოწიწებ, ათასნაირ კალიას ვაშორებ, მინდა საქმე გავასუფთაო და თქვენ კი ფულს ხელიდან მაცლით. ამ სახლის შემოსავალი ამავე სახლს უნდა მოხმარდეს. თქვენ არ იცით, რა მოელის ამ სახლს. ერთი კედელი ქუჩისკენ ხომ ჩამოინგრა, სამი ათასი მანეთი ამაზედ იხარჯება, ხვალ მეორე ჩამოინგრევა, ზეგ საზამთრო თეატრს ახალი სარკეები დასჭირდება—ამას ფული უნდა თუ არა. ფულს არ შევიტან, მუქთი ხომ არ არის,—პენი და შტრაფები გადაგვხდება,—დანგრეულს არ შევაკეთებ სულ დაინგრევა და შემოსავალიც დაგვეკარგება, ახალ სარკეებს არ გავაკეთებთ თეატრში—ჯაბადარი თქვენთანვე საჩივლელად შემოვა და ჩემ ლანძღვა-გინებას დაიწყებს. ლანძღვა-გინების არ მეშინია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ფულს კი მისცემთ მას და ისევ დამპალ სარკეებს გამოსჭიმავენ. ასე გავიგონე, ლოჟების დანგრევას და ხელახლად შეკეთებას აპირებენო..

**მ. ვ. მაჩაბელი.** ეს ლაპარაკი მეტია. ჯერ-ჯერობით ბანკში ფულს ნუ შევიტანთ, რაც საცხოვრებელი გვაქვს ამ ერთ საქმეზე დავხარჯოთ. სადმე კიდევ 30,000 მანეთი ვისესხოთ და ამითი იოლად გამოვიდეთ. შემდეგ ღმერთი მოწყალეა, 60,000 მანეთს ვისესხებთ, ყველა თანხებს აღვადგენთ. მესამე კი ფინანსიური კამისია აქ არა გვაქვს!..

**პ. ი. თუმანიშვილი.** მართლაც საფინანსო კომისიამ იმდენი ღვაწლი და შრომა გასწია ამ საქმეზე, რომ მადლობა უნდა გამოვუცხადოთ.

**ხმები.** გამოვუცხადოთ, გამოვუცხადოთ.

**ქ. ი. ხერხეულიძე.** მე წინააღმდეგი ვარ ამ მადლობის გამოცხადებისა. მე წინადადება შემომაქვს, მადლობა გამოვუცხადოთ არხიტექტორ ტერ-სარქისოვსა, რომელმაც ამდენი უანგარო შრომა გასწია თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საკეთილდღეოთ (სიცილი).

**თავმჯდომარე** (გაჯავრებით). თავადო ხერხეულიძე, გთხოვთ პატივისცემით მოეპყრათ ამ კრებულს და საქმეს სახუმაროდ ნუ ხდით.

**ქ. ი. ხერხეულიძე.** მე სრულებით არ ვხუმრობ, მე ისევე ვუცქერი ამ საქმეს, როგორც თქვენ და თქვენი კრებული, ტერ-სარქისოვი რომ არ ყოფილიყო, ის საფინანსო კომისიაც დღეს ხომ არაფერს არ გააკეთებდა.

**ხმები.** კმარა, კმარა ლაპარაკი. საგანი გამორკვეულია. კენჭი უყარეთ.

**თავმჯდომარე.** აბა ვის არ უნდა ფული ვიშოვოთ, ვთხოვ ფეხზე წამოდგეს.

**კნიაზების ხმები.** გვინდა, გვინდა, ფულზე უარს ვინ იტყვის. (ზოგიერთი კნიაზი, რომელიც კრებას ზეზე უგდებდა ყურს, გაჩქარებით სკამებს ეძებს და რაკი თავისუფალი სკამი არ არის, ერთმანეთს მუხლებზე აჯდებიან).

**თავმჯდომარე.** ბატონებო, ფულის სესხება ერთხმათ გადაწყდა. ამიტომაც კრებას ვხურავ და, ფულს როცა ვიშოვნით, გთხოვთ აქ მობრძანდეთ და ვისაც რამდენი სჭირია არზები წინდაწინვე შემოატანეთ.

**კნიაზების ხმები.** ვაშა, ვაშა!

**ი. პ. ისარლოვი.** მახლას! ახლა კი აღდგა ჩვენი თავად-აზნაურობა. როდის გაგიგონიათ, რომ თავადიშვილმა ფულის სესხებაზე უარი სთქვას.. (ხელს ჩაიქნევს და ლაპარაკით დინჯათ კარებისკენ მიდის. პავლეს მსახური ყველას პალტოსა და ქუდებს აწვდის.

(ფარდა)

**ერგნელი**

## გაზაფხული

ზამთრის შემდეგ გაზაფხული
უცხო მხრიდან მოგვევლინა;
კვლავ ბუნების განახლების
მან იმედი მოგვახარა.

ველად გაველ სანეტაროდ
იქ ბუჩქებში ის ვკრეფდი,
სურნელების უხვად მფენელ,
კონას კონას ვუერთებდი

მთის წვერიდან ნაკადული
ძირს ჩუხჩუხით ჩამორბოდა,
და მერცხალიც მისებურად
„ჭიკი“-„ჭიკის“ დამძახოდა.

მოსისინე გრილმა სიომ
მე უ იტყვოდ მაგრძნობია
„გაზაფხულით გაიხარე
ზამთრის ნუღა გეშინია!“

გაიხარებ! სასოებით
დე აძგერდეს ჩემი გული!
მეც შევაქებ ძლევა მოსილს,
მომწონს ტურფა გაზაფხული!

**ვ. რგანელი**

## ყრმა ვიყავ მაშინ.

ყრმა ვიყავ მაშინ, ოდეს დავტოვე
ჩემი სამშობლო, ჩემი მამული;
ტკბილ ოცნებებში მე შვება ვპოვე,
ტკბილ მოლოდინში მიძგერდა გული.
წინ მიდგა უცხო მე მომავალი
პირ მომცინარი ბედნიერება,
დამეიწყებოდა სამშობლოს ვალი,
დამეიწყებოდა მე ზეცის მცნება.
ბედნიერება-ყოვლით შემკული
უცხო მხარეში მე მომეგება,
ჩამიკრა გულში, ვით ღვიძლი შვილი
მის ალერსშია ვიგრძენი შვება
მაგრამ ყოველ წამს მიკვნესდა გული,
ფიქრი სწამლავდა ჩემ აწმყო ტკბილსა,
რომ ვარ სამშობლოს განშორებული
რომ მივცემივარ უდარდელ ლხინსა.
ეს ფიქრი მწარე, ვითა ფარვანა,
ვით ზეცის შუქი თავს მევლებოდა,
ჩემი ტანჯული წმინდა ქვეყანა
კვლავ ცრემლიანი მელანდებოდა.
და მაშინ ვიგრძენ, რომ ვერ შემეძლო
მე ნეტარება, როს სწუხს მამული.
ოდესაც სტირის ჩემი სამშობლო
როგორღა სძგერდეს სიამით გული?!

**შ. ქართველიშვილი**

## სასაფლაოზედ.

### სააღდგომო ეტიუდი.

(კრძალვით ვუძღვნი გ—ო ე—ძეს.)

Любили-ль вы, какъ я? Безсонными ночами
Страдали-ль за нее съ мучительной тоской?
Молились-ли о ней съ безумными слезами,
Всей силою любви, высокой и святой?

*Надсонъ.*

ლევანმა ერთი უცბათ შეჰყვირა და გამოეღვიძა. ის, მთელი აღდგომის ღამე, ხან ერთს და ხან მეორე მისთვის ძვირფასს მესაიდუმლე წიგნს გადაშლიდა, თავს ძალას ატანდა, რომ როგორმე გართობილიყო: აბობოქრებული გული დაეწყნარებინა, გრძნობა გაებრუა, მქენჯნავი მოგონებანი თავიდგან მოეშორებინა... მაგრამ ჩაიკითხავდა ერთ, ორს, სამ ფურცელს და გოლცებული შესდგებოდა: წაკითხულის ერთი აზრიც, ერთი სტრიქონიც ვეღარ აღედგინა ხსოვნაში. ის გულმოსულად დაანარცხებდა წიგნს და შეუდგებოდა ბოლთის ცემას. მხოლოდ დილის რიჟრაჟზედ მორფეიმ გადაახურა ძილის კალთები მაგრამ მწარე ფიქრები ძილშიაც თან ჩაჰყოლოდნენ და სხეულის დამამშვიდებელი, რამდენიმე წამის ძილიც კი გაუფრთხეს. ამასთანავე რაღაც სიმღერა შემოესმა. მოწყვეტილი სხეულით და ჩასისხლიანებული თვალებით ლევანი ზეზე წამოდგა. მოკრიალებულ ცას ის იყო ახლად სწვეოდა მედიდური, აღდგომის მზე და წამს ნანახი ტფილისის არე—მარე, აევპრჭყვიალებინა, შუქის მაზარაში გაეხვია და თან ოქროს სხივებით ელამუნებოდა მტკვრის ტალღებს და ეკლესიების გუმბათებს. მცენარეთ გაზაფხული ეგრძნოთ, გაფურჩქვნილიყვნენ. მზის მოვლენა სიხარულს და ჟრუანტელს ჰგვრიდა მათ, რომლებიც, ოდნავი ნიავის შეხებითაც. რთოდნენ, ცახცახებდნენ; თან ახლად ამწვანებული ტოტებით აქანავებდნენ ფრინველებს, რომელთაც ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ და თან მწყობრ ვალებით სალამს უგზავნიდნენ დღის სულის ჩამდგმელ მზეს.

Проведемте, друзья, эту ночь веселѣе и студентовъ семья соберемся тѣснѣе,—მოესმა ლევანს, მეზობელ ბინიდგან. მხიარული სტუდენტური სიმღერა, ღამე ნათევ ახალგაზრდობისა.

— ხა, ხა, ხა,—მწარედ ჩაიცინა ლევანმა;—სიმხიარულის გვერდით-ტანჯვა-წამება, სიცოცხლესთან-სიკვდილი, უსაზღვროთ, ფუქსავატურათ ნაშრომის გაფლანგვასთან-შიმშილისაგან წელების წვა,—აი როგორ ულვთოთ, უსამართლოდ და არეულ დარეულად არის მოწყობილი ამ ქვეყნის საქმე. თუგინდ ეხლა მე, თითქოს გამოთაყვანებული ბერი ვიყო, ან სამარის პირას მისული მოხუცი, რომ ესრე განმარტოვებით, ელად და უჟმურად დღეებს ვატარებ, თითქოს ჩემ გულს არ შეეძლოს ახალგაზდური გიჟური გატაცება სპეტაკი იდეალით, თავდავიწყებით ხალხის სამსახური თითქოს ისრეთი მხდალი ვიყო, რომ უკან დავიხიო რამეგვარ ხიფათის მოლოდინით, თუ წინ დიადი მიზანი მეგულება; თითქოს ჩემ გულს არ შეეძლოს მძლავრი უანგარო სიყვარული, მეგობრობა,—მაშ რად მომიგდო ესრე ქვეშ ტიალმა ბედმა, რად წამართვა, სულის სიმშვიდესთან ერთად რწმენა, ხალისი, რად დამთუთქა, რატო...

— Выпимъ мы за того. кто что дѣлать писалъ за героевъ его, за его идеалъ,..—

ისმოდა შეთანხმებული, მწყობრი სიმღერა, რაიც ლევანს ისრე უყვარდა.

— ოხ, რა კარგია, რა კარგი უდარდელი ახალგაზრდობა!—სიმღერით ცოტათი დამშვიდებულმა და მოდუნებით სავარძელში ჩაჯდარმა, განაგრძო იმან ფიქრი, კარგია და თვალწარმტაცი უფრო მაშინ, როცა კაცობრიობის ამ უმთავრეს ძარღვს ატოკებს და აქეზებს მშრალი, ეგოისტური საგანი კი არა, არამედ გაცისკროვნებული იდეალი ჩაგრულ მოძმისადმი შველის, მხარში ამოდგომისა, უკულმართობა-ბარბაროსობის საწინააღმდეგოთ და როცა ესრეთი ახალგაზრდობა თავდავიწყებით ეძლევა ნიშანში ამოღებულს მიზანს, მაშინ ძალიან ჰგავს მთა-გორიკ ნახულ რუს, რომელსაც, თუ შეხვდა ბუტ-ბუტ ლუკლუკით დენის დროს ხრამზედ წადგმული სიპი კლდე,—თავს ევლება და, ანგარიშ მიუცემლად, ეხეთქებოდა ქაფით და წვეთებათ ქცეული უძირო უფსკრულში ვარდება. თუ მდინარე, ან ზღვა ნახა,—მაინც მხიარულად მთაგორებს, ვიწრო კიდეთა შორის, პატარა ტალღებს და უშიშრად ინთქება, აქრობს თავის არსებობას,—იმისთვისუკან მოხედვა არ არის! ან თუ...

— ურაა!.. ეკსტრა-ეკსტრა!!—შემოესმა ამ დროს, არეულ ხმებთან კიჟინი და ლევანიც ტყვია ნაკრავივით ზეზე წამოვარდა.

— ოხმე, რა ხარ, შე ტიალო ცხოვრებავ, რა?!—შესძახა იმან და მუშტის კვრით ფანჯარა გააღო.

შორი-ახლო მდგომ ალვის ხეზედ, შოშია შემომჯდარიყო და ვნებით დამთვრალი, სუნთქვა ამოულებლივ, ფრთების ცახცახით, ტოკვით და მოქარგული ენით, რაღასაც ეტიტინებოდა ხან მზეს და ხან სატრფოს, რომელიც მეორე ხეზედ ეგულებოდა...

— ახ, ნეტავი შენ,—მიმართა შურით ლევანმა ფრინველს,—მაგრამ აბა გამოჩნდეს ისრეთი პირუტყვი ადამიანი, რომელმაც, შენს თვალ წინ, გაგმიროს ეგ შენი სატრფო; მაშინაც გნახავდი როგორის გამაბრუებელის გრძნობით აარაკრაკებდი მაგ ენას!.. მაგრამ რა, შენ ხომ ფრინველი ხარ: გადაფრინდებოდი მეორე ხეზედ, გადაევლებოდი ერთ-ორ გორაკს, შეშფოთებით გაატარებდი ერთ ორ ღამეს და შეეჩვეოდი, გადაგავიწყდებოდა, მოინელებდი ვერაგის ხელით უდროოდ შეჩერებულ მეგობრის სიცოცხლეს, იმიტომ რომ შენს პრიმიტიულს ფსიხიკას, შენს პატარა, მარტივ გულს, არ შეუძლია გაიმსჭვალოს და დიდი ხნით მაინც აღიბეჭდოს ნაწილიც კი მგრძნობიარე ადამიანის ვაებისა. გესმის მე, მე... ადამიანი ვარ!?—მაგიდაზედ მუშტის დარტყმით შესძახა ლევანმა და გაფითრებულმა, ცრემლ მორეული თვალები გაბრაზებით მიაჩერა შოშიას თითქოს ის ყოფილიყოს იმის უბედურობის მიზეზი.

ახალი, ხასხასა მწვანით შემოსილი ხე კი, ტოტის უდარდელი ქანაობით, ეღიზიანებდა შოშიას, რომელსაც ფრთები იმგვარად ჩამოეყარა, თითქოს მოტეხილი აქვსო; ცახცახებდა, ტოკავდა, ბჟირდებოდა და გაება თითქოს გაუთავებელი საარშიყო ჰანგი...

— მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდგან ღმერთს... ისმა ახალგაზრდა ტენორის ხმა.

— ეხ, წავალ, წავალ ისევ საუკუნოდ მდუმარე, მაგრამ ჭეშმარიტ მეგობართან. აღდგომაა, მოძღლის... ისევ ის თუ გაიგებს ჩემს სულის ვაებას, მარტოობის საშინელებას; აქ კი, აქ დღეს სიმხიარულის სამეფოა, სადაც მე ადგილი არა მაქვს...

ლევანმა საჩქაროთ ქუდი და ხურა და გაუდგა კარგათ ნაცნობ სასაფლაოს გზას..

აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც იმას სიკვდილმა უდროვოდ გამოჰგლიჯა მასთან ხასიათით და მისწრაფებებით შეწყობილი, ახალგაზრდა სატრფო-მეგობარი, რის გამო, ეს იმედებით და ხალისით გატაცებული ახალგაზრდა, სულით დაეცა, ენერგია გაუნელდა; თითქოს სიცოცხლის მიზანიც მეგობრის გვამთან დაფლა, იმ მეგობრის მგრძნობიარე გულთან, რომელთანაც რაღაც უხილავ ძაფებით იყო ჩაქსოვილი მთელი „მე“თი, ულმობელ დროს აქნობამდე ვერ გადაეფარებინა ლევანის კავშირისათვის შავი ბურუსი დავიწყებისა. დიდი ხნის საერთო შეთანხმებულმა ცხოვრებამ, გრძნობა მისწრაფების ერთმანეთში შედუღებამ და გაჭირვება-ხიფათით სავსე ცხოვრებამ, მეტად მჭიდროთ შეაკავშირა ეს ორი არსება,—უკანასკნელი წლების მოძრაობით აღფრთოვანებულნი და გატაცებულნი, ისინი არა ერთხელ ჩავარდნილან მეტად სახიფათო ყოფაში, მაგრამ თავგამოდებულს მეგობრობით ხელი-ხელს ჩაკიდებულნი, მაინც ხალისით ეწეოდნენ საერთო მძიმე უღელს, ვიდრე იგი გადუტყდებოდათ ტლანქი რკინის ხელისგან,

ლევანმა ისრე გაიარა უკვე ახმაურებული, ამოძრავებული ქუჩები და ავიდა სასაფლაოზედ, რომ არც კი არაფერი შეუნიშნავს, არაფერ დაუნახავს. ასვლისთანავე მიუჯდა ძვირფას სამარეს და უსიტყოთ დაიწყო ჩივილი მეგობართან: სთხოვდა შველას, დახმარებას, იმედის მიცემას, რამე გვარ ძალას დასაყრდნობათ, თორემ ყოფის ნიადაგი ეცლებოდა იმარტოვეს ბოღმა აღრჩობდა, საიმედო ნუგეშს ვერსად ხედავდა, არც მოელოდა და ამიტომაც ვეღარ დაიცავდა იმის მიერ სიკვდილის წინეთ ჩამორთმეულ სიტყვას „რომ ეცოცხლა“ და ისიც გაუდგებოდა იმის გზას... რომ... რომ..,

— ვაი ჩემ დღეს, ჩემო მარგალიტო შვილებო,—მოესმა ამ დროს ლევანს შესაზარი ღმუილი დედაბერისა, რომელიც შორი-ახლო პირქვე საფლავებს დამხობოდა და გამწარებით მოსთქვამდა.—ეს რა მიყავით, ასრე რათ მაწამეთ, ჩემო ჰუკებო, თქვენი უმწეო დედა, რომელსაც მზე მხოლოდ თქვენზე ამოსდიოდა, რომლისთვისაც თქვენს იქით არაფერი არსებობდა!.. თუ აუცილებლად მსხვერპლი იყო საჭირო,—განა არ კმაროდა ერთი, ორი, სამი... განა მე ქვის გული მაქვს!? განა..

ლევანმა უნებლიეთ ფიქრი შესწყვიტა, ფეხზედ წამოდგა და ცრემლიანი თვალები დედაბერს მიანათა.

— თითქოს, შვილებო, ტვირთის შემსუბუქებას მპირდებოდით: ჩემი დაცვა, ჩემზედ ზრუნვა გიღვიოდათ გულში; თითქოს რიხით თავს დამტრიალებდით, მკერდ-თ მიფარავდით, სიოს არ მაკარებდით. ეჰ ეხლა, ეხლა?! ყოველ დღე ყოველ წუთს თქვენთანა ვარ, თავს დაგტრიალებთ, წამებით დაიარავებულის სხეულით გეხვებით და ერთ ხმასაც კი არ იღებთ! ვერა ხედავთ განა თქვენს საფლავების მწვანეზედ მოელვარე ნამს,—ეს ხომ დანჯულ ღამეში ჩემი გრძნობის ნაღვერი ცრემლია! ქარიც კი იზიარებს ჩემს ქვითინს, რომლითაც ჰფენს მთელ სასაფლაოს არე-მარეს, მცენარენიც კი სიბრალულით იზნიქებიან; ვერა ხედავთ, ღამეობით, ვარსკვლავებიც, თანაგრძნობის ნიშნათ, მოუსვენრად ტოკავენ, ციმციმებენ,—თვალებს ახამხამებენ!? მაგრამ განა ამ უსულო საგნებს შეუძლიათ ჩემი დაშოშმინება, ჩემი ნუგეში, როცა თქვენ,—ჩემსავე სისხლსა და ხორცს ვერა გხედავთ!.. რას ვაქნევ რაღაც გამოურკვეველ მომავალს, თუ ჩემს ბიჭუკუნებს, ჩემს ბურჯებს, ვეღარ ვიხილავ: მოხუცის სმენას თუ ვერ დამიტკბობს თქვენი ხმა, თქვენი აღმაფრთოვანებელი სიმღერა!.. რაღად მინდა ძაღლუმადური არსებობა, თუ აღარ მეყოლებით თქვენ, რომელთაც უკანასკნელ ძაფამდე ჩავაქსოვეთ ჩემი სიახალგაზრდე, ჩემი იმედები, ჩემი მოლოდინი, მთლად ჩემი შავ დღეებით სავსე ყოფა! სხვა ყველა კი თითქოს მოწადინებულია მე დამჩაგროს, ფეხით გადმოიაროს... გემუდარებით მაიმედეთ შვილებო, რამე მანუგეშეთ: მოხუცს თავზე ხელს ნუ ამოღებინებთ, სულს ნუ წამიწყმედთ; ერთი თანაგრძნობის სიტყვა, თქვენი ერთი ოხვრაცაა გაიგოს ჩემმა სმენამ, რასაც ასრე დაჟინებით და ხშირად სულ განაბული მოველი“.

ლევანი რამდენსაც მეტს დასცქეროდა, იმდენად ეს მგლოვიარე დედაბერი თითქოს თანდათან ზრდებოდა, ფართოვდებოდა; სულ მეტსა და მეტს საფლავებსა ჰფარავდა თავისი მოუნელებელი ბოღმა-ნაღველით. თითქოს ეს უბრალო ჩვეულებრივ ზომა-გრძნობის მქონე დედაკაცი კი არ იყო, არამედ რაღაც ბუმბერაზი, თითქოს საერთო, მთელი სასაფლაოს მოზარე მშობელი დედა იყო. თითქოს ყველა იმათ, ვისაც კი დაკარგული ძვირფასი არსება გადეევიწყნათ და გართობილიყვნენ ამა ქვეყნის აბობოქრებულ ცხოვრებაში,—ყველას ამ დედაკაცისთვის გარდაეცა, მისთვის ჩეებარებინა თვისი დაკოდილი გულის კვნესა, მწუხარება და ამიტომ ეს დედაბერიც, როგორც უმრავლესობის ვაება-ნაღველით გამსჭვალული და გამომხატველი, მრავალ საფლავებს დაჰპატრონებოდა, თავს ევლებოდა და ჩაჰქვითინებდა, შესჩიოდა ალერსით და თან ყვედრებით შეზავებულ ზღვა-გრძნობას.

დედაბერი მოთქმის დროს, გამწარებით მუხლებს იტყეპავდა, ღაწვებს იხოკიდა; დილის ნიავიც უბურგნიდა ისრეთაც გაწეწილ თმას...

ლევანის დარდი თითქოს თანდათან ილეოდა, მცირდებოდა, უერთდებოდა და ითქვიფებოდა იმ ქალის უზომო ვაებაში...

ლევანის მგრძნობიარე გულმა დიდხანს ვერ გაუძლო ასეთი სურათის ყურებას; ამასთანავე იმას რაღაც გამოურკვეველი, უხილავი ძალა იზიდავდა, იტყუებდა დედაბრისაკენ...

ის უცბათ ადგილიდან მოსწყდა, მეგობრის სასაფლაო მიატოვა, გაეშურა ჩქარის ნაბიჯით და მოწყვეტით მუხლებზე დეეცა დედაბერთან, რომლის კალთაშიც თავი ჩამალა.

— დედიჯან, დედი მე მიწამე შვილად მე!—შეევედრა ის სლუკუნით,—მეც შენებრ წამებული ვარ, მიტოვებული, უპატრონო, იმედგაცრუვებული... დეეპყარ ჩემს მხარს შენის ტანჯულის არსებით, გასწორდი, გამაგრდი წელში და ამით მეც გამიჩინე საზრუნავად ძვირფასი საგანი,—მიზანი არსებობისა!.. შენის მაგეთი ზღვა გრძნობიერებიდგან მეც გამიზიარე ცოტა რამ გულწრფელი სიყვარულისა, თანაგრძნობისა, რაიც ესრე მენატრება, მწყურია და გეფიცები რაცა მრწამს, რასაც ვეთაყვანები, გაგიწიო ნამდვილი შვილობა, გავიზიარო, შეგიმსუბუქო ვაება, შური ვიძიო შენი შვილების, ჩემი ძმების, მტარვალთაგან,—ქვითინით ლუღლუღებდა ლევანი...

დედაბერმა ვაება შესწყვიტა, თავი მაღლა აიღო, ხელებით დეებჯინა ლევანის ზურგს და გაშტერებით დააცქერდა; იმედის სხივმა შეითამაშა იმის ტანჯვდათ დაღარულ სახეზედ. მხოლოდღა დავუდებულ, დაოსებულ თვალთაგან უმალ შეუკავებლად მონადენი ცრემლი ერთოდა კალთაში დაგუბებულს ლევანის ცრემლს...

მაღლად აწეულ მზეს ეს ორი, ვით ქანდაკათ ქცეული არსება, დაკავშირებულნი სპეტაკი, აღმაღლებული გრძნობით, ვით ემბლემა ტანჯული კაცობრიობისა, საგანგებო ნათელში გაეხვია, ზედ დაქათქათებდა და მცენარებიც სიბრალულით იხარებდნენ და შრიალით რაღასაც ჩურჩულებდნენ...

— ქრი.....ისტე აღსდგა მკვდრეთით!.. ისმოდა სადღაც, შორი-ახლოს, კრებულის მიერ საფლავების კურთხევის საგალობელი...

**გ. ახალციხელი.**

## გორი

გორზედა და გორელებზედ ბევრსა სწერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ ამათი არც სიგძე ემატება და არც სიგანე. დავიწყოთ იქიდან, რომ გორი უსუფთაო ქვეყანაა ერთი რომ ცას ნამი გაუვარდეს, ერთი კუთხიდან მეორეზედ გადასასვლელად ნავი ან ცურაობაა საჭირო, თუმცა კი ბევრ ქალაქს ენატრება არამც თუ ასე ირგვლივ წყალი, ერთი მხრიდან მაინც, და აქ კი ვერ სარგებლობენ ოთხივე კუთხივ წყლით, რომ ქუჩები დაავონ და ყოველთვის ის ირეცხებოდეს, თუ ქალაქი ამ სიბინძურეშია, არც ვაგზალია ამ მხრივ უზრუნველ ყოფილი, ორთავე ბუფეტები უსუფთაოთაა შენახული თავისი კარ-მიდამოთი და საჭირო მინადგომ ადგილში ხომ კაცს არ შეეხედება. ფარნები სწორედ მაშინ ინთება, როდესაც პოეზდი შემოსვლას დააპირებს და მანამდის კი ბნელა, ხამი კაცი სადგურს ვერ მიაგნებს. გორელების ერთად ერთი თავ მოსაწონებელი ახალი ხიდი აქვთ, რომელზედაც აუცილებლად ორი ყარაული მაინც უნდა ჰყვანდეთ გაღმა და გამოღმა, რომ ხიდზედა და გამვლელ-გამომვლელზედ ეჭიროთ თვალ-ყური ამ ქურდობა ავაზაკობის დროს, მაგრამ ესეც მეტ ბარგათ მიაჩნიათ გორელებს. სადაც დღე ავაზაკობენ, ღამე ვინ ვის დაინდობს 13 ამ თვეს გაუტეხეს ვასო ფავლენიშვილს ბოსელი და ორი ცხენი გაიყვანეს ცხინვალელი მეეტლე წყალობასი, ამასვე დაუქრეს შესაბმელი ღვედები და ქურდი კი დღესაც გარბის. აი ამიტომაა ხიდზედ ყარაული საჭიროსაით უნდა წაეყვანათ თუ არ ამ ხიდით. მაგრამ ისაა, რომ სადაც დღე ავაზაკობენ და გორიჯვრისაკენ მიმავალ ხიდ ქვეშ ეფარებენ თავს. საყაჩაღოთ და თავათ საბილოს არა ზოგავენ, ღამე ვინ დაგინდობს. მერე იკითხავთ, სად არის პოლიცია, ჰმ... დალოცვილებო ასე გგონიათ პოლიციას მეტი საქმე არა ჰქონდესრა ათასი თავ სატეხი საქმე აქვს შინ და გარეთ. სამი ოთხი წლის დარჩენილი ხარჯება რევოლიუციონერებისა, მოქალაქეების ძებნა, დამნაშავესი და უდანაშაულოს დაჭერა და გაციმბირება და სხვა და სხვა... ეს ბრიყვი გორელი მედუქნეებიც ხომ საქმეს უჭირებენ პოლიციას, თითქმის ნახევარი პოლიცია ამათ უნდებათ, რაკი მათ მიერ დაკანონებულ წესრიგს არ ასრულებენ. იცით რაში გახლავთ ეს წესრიგი, მკითხველო. იმაშია, რომ 1905 წლისა და 906 წლების მოუსვენარი ბატონების ბრძანებამა და მუქარამ ესენიც ჩაითრია (ან კი ვინ იყო, რომ ბრმათ არ ემორჩილებოდა, მაგრამ ყველგან ყველაფერი გამოსწორდა) და განაჩენით დააკანონეს 8 საათზედ გაღება დუქნისა და 8 ზედ დაკეტა, რაკი ერთხელვე შესცდნენ, პოლიციაც ჯიბრში ჩაუდგა და ნახევარ საათით კიდევ ადრე აკეტინებს და ისე კი რომ სინათლეც არსად უნდა გამოსჭვიოდეს.

**ვინცა ვარ.**

## კობა და გუგული.

(მოთხრობა პროპაგანდისტთა ცხოვრებიდან)

### VIII

კობა კი ჯოჯოხეთს ატარებდა, გენიას...

— ეს და მაკლდა,—ფიქრობდა ის და თავ ჩაქინდრული სადღაც მიდიოდა,—უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ისიც მეყოფოდა, რომ ასე დავწანწალობ, დღე და ღამე ჩემთვის ერთია და ეს კიდევ რათ დავიმატე? დეე, მე დავტანჯულიყავ, როგორც ვიტანჯებოდი ისე, მეწვალნა, ყველაფერს გადავიტანდი, მოვითმენდი და იქნებ როდისმე რამე მეშველებოდა, თავისუფლათ ამომესუნთქა! მარა სხვისი უბედურების მიზეზათ რათ გავხდი? განა ის არ კმაროდა, რომ მე ვიყავი ასეთ დღეში და სხვასკიდევ რათ ვტანჯავ? განა მაქვს მე ამის უფლება? ოხ, გუგულო. ჩემო ღვთაებავ, ნუ თუ მე უნდა ვიქნე შენი უბედურობის მიზეზი? ნუ თუ მე, რომელსაც შენი უმანკოება მანაცვალე, უნდა მოგიწამლო არსებობა, გამოგთიშო ადამიანებში? გუგულო... გუგულო...

— ხანდიხან ერთი საშინელი აზრიც გამიელვებს თავში: ნამყოფის მოკვლა, გუგულოს მუცლის მოშლა... მოსპობა იმ არსების, რომელმაც ასე დამამწარა წუთიერი ბედნიერება... მარა... მარა... ეს ხომ შეუძლებელია, წარმოუდგენელია!.. გამოუსყიდველი დანაშაულია, როგორც საზოგადოების, ისე სინდისის წინაშე... შეიძლება ინდივიდის თვალთა ხედვით ეს კიდეც გაამართლოს ვინმემ, მარა.,. მარა,.. სოციალურის თვალთა ხედვით ეს უდიდესი დანაშაულია... დიახ... არა, მე ვერ ვიქ ამას!., რა უფლება მაქვს მე ვინმეს სიცოცხლე მოუსპო... არა... შორს, შორს შავი აზრი... ფიქრობდა კობა და ისედაც დასერილი გული უფრო ედაგებოდა...

— შიშილი, წყურვილი, ტანჯვა, სიცივით კანკალი, ყოველ მხრივ დევნა, არც დედა ჩემთვის, არც მამა... ერთად ერთი ადამიანი ზრუნავდა ჩემზე, ჩემთან

ერთად ისიც იტანჯებოდა და ისიც ჩემის მიზეზით ასეთ მდგომარეობაშია და ვინ იცის კიდევ რა მოელის? ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს არსებობაა?

— სანამ უნდა ვიცხოვრო ეგრე ნადირივით, სანამ ვიმალო, ხეტიალში ვიყო? რომ არ მეგებოდეს, მე და გუგული ერთად ვიცხოვრებდით სხვებივით, ტკბილად, სიყვარულით... მარა მე აკი სხვებივით ცხოვრება არ შემიძლია, მე აკი კანონს გარე ვარ... მაშინვე მომკლავენ ჩემს გუგულს და შორს გადამკარგავენ, ან ციხეში გამომამწყვდევენ! ასე მალულათ ჩვენი ცხოვრება კი აწ შეუძლებელია... ის ფეხმძიმეთაა, ქმარიც უნდა იყოს მასთან, მას ასე ცხოვრება არ შეუძლია... ოჰ, ღმერთო ჩემო, ნეტავი თუ იქნეს ის დღე, როცა მე და გუგული უშიშრათ ვიცხოვრებთ ერთად...

— ცხოვრება თითქოს ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, დაწყნარდა ყველაფერი, წარვიდნენ გატაცების დღენი. გაქრა ის დრო, როდესაც საკუთარი „მე“ მიუწვდომელი იყო. ეხლა ყველა თავისი თავზე ფიქრობს: ცოდნას იძენს, ცხოვრების ახალ პირობებთან საბრძოლველათ ახალ იარაღს იძენს, ვითარდება, კონების იკრებს, ადამიანური ცხოვრობს... მე კი ტყეში ვარ, ვერ გამოვწვრთნილვარ, ცხოვრებას ვემალები, ადამიანებს ვერ დავნახვივარ... მომწყინდა ასეთი არსებობა, მომწყინდა... მეც მინდა ცოდნის შეძენა, მდგომარეობის გაუმჯობესება, ადამიანური ცხოვრება, გრძნობათა დაკმაყოფილება. ცხოვრებამ გამ-სწრო, ის თავისკენ მიხდავს და მე კი მას გავურბივარ... ყველა რაღაცას ელის, იძენს, მე კი ტყის ნადირივით დავძრწივარ, ნაცნ საყუდელი ვერ მიპოვია...

— მეც ადამიანი ვარ, მეც სხვებივით მიცემს გული, მეც მინდა ჩემს სატრფოსთან ცხოვრება, მასთან ნეტარება... მარა დღეს ჩემთვის ყველაფერი მოწამლულია, ყველაფერი მოშხამულია და ჩემი ასეთი მდგომარეობა გუგულისაც მოწამლავს და ვინ იცის კიდევ რას უზადებს... ოჰ, ღმერთო ჩემო!..

შავი ფიქრები კობას გულს ლოღნიდნენ აწვა და სულის თქმას უშლიდნენ. თვა ჩაქინდრულს ასე ეგონა ციმშე კისერზე ხელს უჭირებდა. შავს ოცნებაში მყოფი სადღაც უგზოთ მიეხეტებოდა, ვერას ამჩნევდა. ის მაშინ გამოირკვა, როცა წინდით მოცულ არე-მარეში ვიღაცის ხმა მოესმა. მოიხედა უკან და რამოდენიმე ცხენოსანი კაცი დაინახა: ესენი იყვნენ ბოქაული და სტრაჟნიკები, თან რამდენიმე დაქერილი მიჰყავდათ. უბედურობა კარზე იყო—კობას დაიჭერდნენ, მარა მან ფეხსაც არ აუჩქარა, მხოლოდ გზაზე გადადგა და მეზობელს მოფარებით მოესხლა. არავის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ ერთმა სტრაჟნიკმა განგებ კინაღამ ცხენი დაატაკა და მათრახიც გადუქნია.

ამნაირათ ზვერჯელ გადარჩენილან ხოლმე კობა და მისი ამხანაგები ხიფათს. ერთხელ კობამ ხელიც კი ჩამოართვა იმ ბოქაულს, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა მისი ან დაჭერა ან სიკვდილი. კობა შეუმჩნეველ პირებთან ერთად სამხრო ქალაქის მოედანზე დასეირნობდა. ამ დროს გამოჩნდა ულვაშებ გაწკეპნილი ბოქაული თავის სტრაჟნიკებით და მოსეირნეთ ხელი გაუწოდა. გაქცევა, ან სხვა რამე კობას მხრით სასიკვდილო იყო; ის არხეინათ მიესალმა მის მომძებნ დამქერს და არხეინათვე დაშორდა.

— ამაღამ მე რაღაც ცუდს გიღედურება,—სთქვა კობამ, რაკი ბოქაულსტრაჟნიკები მოაშორა და ცოტა ჩაფიქრებას შემდეგ უკან გამობრუნება არჩია. ის ეხლა სოფლებით გამოიტკვა და თავის თავს ანგარიშს აძლევდა. ჩან ტანში გააჟრჟოლა, როცა წარმოიდგინა, თუ რა უბედურობა იქნებოდა მის თავზე, რომ ეხლა ის დაეტუსაღებინათ და საშველობოს მიეშურა, მარა შეამჩნია, რომ სოფელში ვერ იყო ყველაფერი რიგზე: ზშირათ იძრობდა ძაღლის ყეფა და კაცის ხმა ერთად,—სოფელში ვერ იყო კაი ამბავი.

— ალბათ უკვე აასრულა მაზრის უფროსმა თავისი დაპირება და სოფელს ეგზეკუცია გამოუგზავნა, აკი დღეს იყო დაპირება,—სთქვა მან და უქმაყოფილოთ გაჩერდა. სითი წასულიყო არ იცოდა.

— ისევ კარავში წავალ,—გაიელვა გულში და ტყეს მიაშურა.

იქ ტყის მპრელებს კარავი ჰქონდათ და იქ განიზრახა კობამ ღამის გათევა. არა ერთი და ორი ღამე გაუთენებია აქ კობას აქ წნელით მოლობილ ფაცხაში, რომელსაც კარებიც არ ჰქონდა და შიგ ტურა-მგლებიც ხშირი სტუმარი იყო.

ბნელოდა... ტყე საშინელ სიჩუმეს მოეცვა, ციოდა... ცა საშიშრათ მობღურულიყო... გულშემკვდარი კობა კარავში იყო ატუზული. გაცივებულ ხელში რევოლვერი ეჭირა, რათა ნადირიდან თავი დაეცვა. მის თვალს ძილი არ ეკარებოდა, დასერილი გული ბოდიდან ამოვარდნას ფიქრობდა.. გუგულის ლმობიერი სახე თვალ წინ ედგა, ადამიანი თითქოს სასოწარკვეთილების შეპყრო, საშიში გამომეტყველება ჰქონდა მის თვალებს: ისინი ძალზე გაფართოებულიყვნენ და ნაცეცლათ იმისა, რომ რამე დაენახათ, თითქოს აცრემლებს აპარებდნენ. გაფითრებული ტუჩები რაღაცას ჩიფჩიფებდნენ, ვიღაცას მიმართ უკმაყოფილებას აცხადებდნენ, ვიღაცას წყევლიდნენ... გაქვავებულ კობა ეგრეკი გრძნობდა თავის არსებობას... გულსაკლავ სიჩუმეს დრო გამოშვებით ნადირთა ყმუილი არღვევდა... თავზარს ცემდა კობას ეს ხმა: ის მთელი თავის სხეულით შეზანზარებული აქ ღროს და ანგარიშ მოუცემლათ რევოლვერს იმარჯვებდა...

აი ხედავს კობა, რომ გუგულისთან არის, ელერსება, მარა უცებ. მისდაუხეგებურათ საშინელათ უკბინა მას ლოყაში,.. პირიდან წითელი სისხლი გადმოსცვივა და ნაკადულებათ ძირს მიდის, ლოყას ღებავს... გუგული შემინდება, კობას გაურბის... კობაც შორდება, ტყეში, უღრან ტყეში გაიჭრება და უცებ სადღაც ღრმაში. იქ მგლები ყმუიან... ბოქაულიც მიდის, მხარზე წითელ ნიფოტკებიანი ეშმაკები თან მოუყვებიან საშინლის ხარხარით და კვინტრაშით... კობა მირბის, მისდევენ... აგერ კიდეც დაიჭერენ... რევოლვერი მოიმარჯვა, უნდა ესროლოს, მარა...

— ჰაშ!.. აღმოხდა გულის გამგირავი ხმა კობას გულის სიღრმიდან და კედლებზე მიმინებულმა გაიღვიძა... თვალები მოიფშვნიტა, მარა ბნელოდა, კიდევ უკუნეთი იყო...

კობა ღამის შიშმა, ძლივს მოიგონა, სად იყო... რევოლვერი კიდევ გვარიანად ხელიდან, ძლივს მონახა მიწაზე...

წვიმა დაიწყო, ქარიც კრიდა... კობამ იგრძნო, როგორ შეუცივდა ფეხ-ვეშ წყალი...

**მ. მალაქიაშვილი**

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ი. ხირხელიძე.**

## განცხადებანი



ღვინოები „მ ე ლ ა ა ნ ი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და კამპ.

მაღაზია მიხეილის პროსპექტ. № 5

კანტორა და საწყობი ოლგინსკაია № 32

ტელეფონი № 493

---




1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიანცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.




---

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

12 მარტიდან

**ვაჭრობის შეწყვეტის გამო დაიწყება**

# ლიკვიდაცია

შეკერილი კაცის, ქალის და ბავშვების ტანისამოსი სავაჭრო სახლის

**ძმ. აკოფჯანოვების და სარქისოვის**

ნიკოლოზის ხიდზე, კამოევის სახლი

**ფასები გადაჭრილია**

**და აღნიშნულია უკანა იარლიკის გვერდზე ლურჯი კარანდაშით**

იქვე იყიდება მაღაზიის მთელი მოწყობილობა.

ლიკვიდაციის გამო ვაჭრობის გასაადვილებლად მაღაზია 9 ს. 11 ს. ღიაა.

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

5—3

---

# პროვოდნიკის

**ამხანაგობა რიგაში**



1897 წ.




1908 წ.




1888

**საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის**

**თფილისში** სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდათ და ცალობით**

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

**ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო**

№ 2. **გალოშების „პროვოდნიკისა“**

(25—6.—2).

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ამხ. „სორაპანი“-სა, მადათოვის კუნძული №1, ტელეფ. № 539